



# THE SUFFICIENCY OF EVIDENCE TO CONVICT THE PERSON FOR COMMITTING A CRIME OF INTOLERANCE BASED ON DISCRIMINATORY GROUNDS AND ITS IMPORTANCE IN DETERMINING THE SENTENCE

Nati Gelovani

*Ph.D. student at the Faculty of Law and Social Sciences of East European University*

---

## ARTICLE INFO

---

### *Article History:*

Received 07.12.2022

Accepted 14.12.2022

Published 28.12.2022

---

### *Keywords:*

Crimes motivated by intolerance committed on the grounds of discrimination, Hate Crime, Evidence sufficient to convict a person, Importance of motive in sentencing

---

## ABSTRACT

---

All human beings are born free and equal in dignity and rights. The fight against discrimination is recognized by the Constitution of Georgia – “All persons are equal before the law”, any kind of discrimination is not allowed. This is emphasized in the principles and norms specified in international conventions and declarations.

The obligation to study the discriminatory motive within the framework of the full, comprehensive and objective investigation stipulated by the procedural legislation rests with the law enforcement officers, and the court is obliged to administer justice, to make a summary decision based on the evidence. In addition, it must be substantiated.

According to the legislation of Georgia, to convict a person is necessary to have a set of evidences that would convince an objective person of the person's guilt. In the case of a crime motivated by hate, it is additionally necessary to have such indicators – evidence, which is necessary to confirm the existence of the motive.

National law, which is in full compliance with international law, requires that the summary judgment passed by the court and the type and extent of the sentence applied must be justified. The court's verdict should give any person the opportunity to get information on what evidence and why the court made this particular decision.

In this paper are discussed the indicators of crimes committed with the motive of intolerance based on discrimination and the types of evidence to be obtained based on them, as well as the decisions of the national court and the standards of substantiation of these decisions are studied – on what evidence is the summary decision made and to what extent does the motive of hatred influence the type and size of the relative punishment.

# დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენისთვის პირის პასუხისგებაში მიცემისთვის საკმარისი მტკიცებულებათა ერთობლიობა და ამ მოტივის მნიშვნელობა სასჯელის განსაზღვრის დროს

ნატი გელოვანი

ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, პირის მსჯავრდებისთვის საკმარისი მტკიცებულებები, მოტივის მნიშვნელობა სასჯელის განსაზღვრის დროს

## შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია და ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაცია აკრძალულია. 2012 და 2017 წლებში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (შემდგომში სსკ) განხორციელდა ცვლილებები, რომელთა მეშვეობით ეროვნულმა კანონმდებლობამ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად აღიარა. ცვლილებების განხორციელებას ბევრი გარემოება დაედო საფუძვლად, მათ შორის ევროსასამართლოს პრაქტიკით დამკვიდრებული სტანდარტი, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოს დროულად, სათანადოდ და ქმედითად მოახდინოს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე რეაგირება.

სიძულვილის მოტივის შესწავლის ვალდებულება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით (შემდგომში სსპ) გათვალისწინებული სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოძიების ფარგლებში სამართალდამცავ ორგანოს ეკისრება, სასამართლო კი ვალდებულია განახორციელოს მართლმსაჯულება და გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი.

საქართველოს სსკ, საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის ეტაპზე, პროკურორს და მოსამართლეს უფლებას არ აძლევს დაუმძიმოს პირს ბრალი. კანონის თანახმად, პროკურორს მხოლოდ საქმის სასამართლოში გაგზავნამდე აქვს უფლება დანაშაულის ჩადენის მოტივი, როგორც დანაშაულის ჩადენის დამამძიმებელი გარემოება ასახოს ბრალდების შესახებ დადგენილებაში. მოსამართლე ხელმძღვანელობს საქმეში არსებული მტკიც-

ცებულებებით და პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით, შესაბამისად, ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული შესაძლო დანაშაული არის ყველაზე მძიმე, რომლის ჩადენისთვისაც შეიძლება მოხდეს პირის მსჯავრდება.

პირის მსჯავრდებისთვის აუცილებელია მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა მის ბრალეულობაში. მტკიცებულებების მოპოვება გამოძიების ვალდებულებაა, მოტივის ბრალდების შესახებ დადგენილებაში ასახვა პროკურატურის, აღნიშნულ მოტივზე მსჯელობა და მის საფუძველზე სასჯელის დამძიმება კი – სასამართლოს. საქართველოს სსკ-ის 53<sup>1</sup>-ე მუხლი, რომელიც გამოიყენება სასამართლო განხილვის დროს, იმპერატიულად აკისრებს მოსამართლეს ვალდებულებას, რომ დამამძიმებელი გარემოების არსებობისას, დანაშაულის ჩადენის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.

სამწუხაროდ, სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენების დიდი ნაწილი არ იძლევა შესაძლებლობას დასკვნისთვის, რომ სსკ-ით გათვალისწინებული იმპერატიული დანაწესი ყოველთვის სრულდება. ხშირ შემთხვევაში, სასჯელის დასაბუთების ნაწილი იმდენად ბუნდოვანი, ზოგ შემთხვევაში აბსტრაქტულიც კი არის, რომ შეუძლებელია იმის იდენტიფიცირება, სასამართლომ დამამძიმებელ გარემოებაზე საერთოდ გაამახვილა თუ არა ყურადღება. ასევე, რთულია მსჯელობა იმაზე, თუ რა გარემოებებს, რა მტკიცებულებებს დააფუძნა დანაშაულის ჩადენის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის არსებობა ან არარსებობა.

საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებები ერთხმად უსვამენ ხაზს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში სახელმწიფოს ვალდებულებებს, მათ შორის, ისეთ მნიშვნელოვან ვალდებულებას, როგორცაა – დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული არ იქნეს განხილული

ჩვეულებრივი – მსგავსი მოტივის არ მქონე დანაშაულის მსგავს დანაშაულად.<sup>1</sup> ამ ვალდებულების შესრულება არ გულისხმობს მხოლოდ გამოძიების ჩატარებას და მოტივის იდენტიფიცირებას, აუცილებელია სახელმწიფომ უზრუნველყოს შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება. ჩადენილი დანაშაულისთვის განსაზღვრული სასჯელი უნდა იყოს სამართლიანი, არ უნდა ახდენდეს დამნაშავის წახალისებას და უნდა უზრუნველყოფდეს სასჯელის მიზნების მიღწევას. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ განაჩენის გამოტანის მომენტში ყურადღება მიექცეს იმ დამატებით ზიანს, რომელსაც სიძულვილის მოტივი იწვევს, შესაბამისად სასჯელის დაკისრების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ამგვარი მოტივით გამოწვეული ზიანი.

სათანადო სასჯელის გამოყენების და ამ გზით სამართლიანობის აღდგენის მექანიზმზე არაერთ საერთაშორისო დოკუმენტში<sup>2</sup> თუ ევროსასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში არის ხაზი გასმული.<sup>3</sup>

კანონმდებლობის ანალიზისა და სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენების შესწავლის საფუძველზე, მოცემული ნაშრომი შეეცდება, შეაფასოს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემური ასპექტები, კერძოდ: სასამართლო პრაქტიკით დადგენილი მტკიცებულებითი სტანდარტები ამ კატეგორიის დანაშაულებზე, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის გავლენა სასჯელზე და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ამასთან, მოცემული ნაშრომი შეეცდება შეაფასოს არსებული ტენდენციები და გამოწვევები და დასახოს იდენტიფიცირებული პრობლემების გადაჭრის საშუალებები.

1 ECtHR, Case of Begheluri and Others v. Georgia, no. 28490/02, 07/10/2014, §173, 179; Case of Aghdgomelashvili and Japaridze v. Georgia, no. 7224/11, 22/03/2021, §44; Case of Identoba and Others v. Georgia, no.73235/12, 12/05/2015, § 77.

2 Crown Prosecution Service, (2022, 3 March), “Homophobic, Biphobic and Transphobic Hate Crime – Prosecution Guidance” <<https://www.cps.gov.uk/legal-guidance/homophobic-biphobic-and-transphobic-hate-crime-prosecution-guidance>> [Last Seen: 23.11.2022].

3 ECtHR, Case of Angelova and Iliev v. Bulgaria, no. 55523/00, 26/07/2007, §104.

## დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე მსჯელობამდე უნდა განიმარტოს ამ ტერმინის მნიშვნელობა – „თეოხიასა და პიაქტიკაში დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულს ხამდენიმე სახედწოდება აქვს – დისკრიმინაციული დანაშაული, სიძუღვირით მოტივირებული დანაშაული, სიძუღვირის დანაშაული, შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაული და სხვა. ახსებითად, თითოეული ცნება ერთი შინააზრის მაგაჩებელია, კეხძოდ: დანაშაულის ჩადენის მოტივი აჩის სიძუღვირ, შიში, ზიზღი თუ სტეხეოტიპური, მიკეხძოებული დამოკიღებუღება“.<sup>4</sup>

ერთმანეთისგან განასხვავებენ სიძუღვირით მოტივირებულ ინციდენტს და სიძუღვირით მოტივირებულ დანაშაულს, „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაული სიძუღვირის ენისგან განსხვავებუღა ისეთი ეღემენტის ახსებობით, ჰოგოჩიც აჩის დანაშაული. მხოღოდ სტეხეოტიპით თუ სიძუღვირით მოტივირებული დამოკიღებუღება ვეხ გახებუღა სისხღის სამაჩთღის წესით პასუხისმგებღობის დაკისხების საფუღვეღი, თუ ის აჩ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს“.<sup>5</sup> შესაბამისად, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული ეს არის საქართვეღოს სსკ-ით გათვალისწინებუღი განზრახი დანაშაული, რომღის მოტივსაც კონკრეტული ნიშნისადმი შეუწყნარებლობა, სიძუღვირით თუ ზიზღი წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ამ კატეგორიის ქმედებებთან დაკავშირებულ რეგულირებებზე მითითებუღია ფაქტობრივად ყვეღა საე-

რთაშორისო ხასიათის ხელშეკრულებასა<sup>6</sup> თუ დოკუმენტში.<sup>7</sup> ეუთოს დემოკრატული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი სიძუღვირის დანაშაულებს განმარტავს, როგორც სისხღის სამართღის დანაშაულებს, რომლებიც მოტივირებუღია მიკერძოებით. პირვეღი ეღემენტი ამ ქმედების არის მისი დასჯადობა სისხღის სამართღის წესით, თუ არ არსებობს სსკ-ით გათვალისწინებუღი დანაშაული, არ არსებობს სიძუღვირით მოტივირებუღი დანაშაული. მეორე მნიშვნელოვანი ეღემენტი არის მიკერძოებუღი დამოკიღებუღება, სწორედ ეს უკანასკნელი არის ის, რაც ამ დანაშაულს განასხვავებს სხვა დანაშაულებისაგან.<sup>8</sup>

საერთაშორისო სტანდარტებთან საკმაოდ ახღოს დგას ქართული კანონმდებლობა. გარდა იმისა, რომ 2014 წელს მიღებუღი იქნა საქართვეღოს კანონი დისკრიმინაციის ყვეღა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, საქართვეღოს სსკ-ში დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი გათვალისწინებუღია, როგორც ზოგად დებულებებში (სსკ-ის 53<sup>1</sup> მუხღი), ისე ქმედების შემადგენლობის (მაგ. სსკ-ის 156-ე მუხღი) თუ ქმედების მაკვალღფიცირებუღი ეღემენტის სახით (მაგ. სსკ-ის 109-ე მუხღი).<sup>9</sup> შეიძლება ითქვას, რომ ქართული კანონმდებლობა, ძირითად შემთხვევებში, იძღვევა სწორი სამართღებრივი კვალღფიკაციის განსაზღვრის შესაძლებლობას.

4 გეღოვანი, ნ., (2022). დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაუღის სტატისტიკის ერთიანი, 2020 (ოქტომბერ-დეკემბერი) წღის ანგარიშის ანაღიზი. სამართალი და მსოფღიო, 8(2), გვ. 37, <[https://lawandworld.ge/PDF/printversionPDF/LawandWorld\\_N22\\_Print\\_Version.pdf](https://lawandworld.ge/PDF/printversionPDF/LawandWorld_N22_Print_Version.pdf)> [ბოღო წვღომა: 23.11.2022].

5 გეღოვანი, ნ., (2022). დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული ქართულ სისხღის სამართღღში. მართღმსაჯუღება და კანონი, 14(3), გვ. 116, <<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2022w-n3.pdf>> [ბოღო წვღომა: 23.11.2022].

6 ადამიანის უფლებათა საყოვეღთაო დეკლარაცია(1948), ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (1950), და სხვა.

7 OSCE Ministerial Council (2010). Decision No. 9/09 on Combating Hate Crimes, OSCE Ministerial Council, Athens, 2009, p. 1, <<https://www.osce.org/cio/40695>> [Last Seen: 23.11.2022].

8 OSCE/ODIHR (2022) Gender-Based Hate Crime, Hate Crime Reporting, ODIHR Publishing, Warsaw, Poland, <<https://www.osce.org/files/f/documents/f/1/480847.pdf>> [Last Seen: 23.11.2022].

9 გეღოვანი, ნ., (2022). დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული ქართულ სისხღის სამართღღში. მართღმსაჯუღება და კანონი, 14(3), გვ. 114-131, <<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2022w-n3.pdf>> [ბოღო წვღომა: 23.11.2022].

## პირის მსჯავრდებისთვის საკმარისი მტკიცებულებათა ერთობლიობა

პირის მსჯავრდებისთვის აუცილებელია მტკიცებულებების არსებობა, რომლის მოპოვების უფლებამოსილება გააჩნია საგამოძიებო უწყებას, შეფასების კი – სასამართლოს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში ევროსასამართლო) მიერ ბაიბეჩას და სხვათა საქმეზე განმარტებულია, რომ მტკიცებულებათა შეფასება, მათ შორის მათი რელევანტურობის განსაზღვრა არის ეროვნული სასამართლოების პრეროგატივა.<sup>10</sup>

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად – დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი – უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. „აღნიშნული კონსტიტუციური დებულება წახმოადგენს სამაჩთღებში სახელმწიფოს ერთ-ერთ საფუძველს, განამტკიცებს უდანაშაურო პიხის მსჯავრდების თავიდან აცილების მნიშვნელოვან, საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს – „in dubio pro reo“, რომლის თანახმად, დაუშვებელია პიხის მსჯავრდება საეჭვო ხასიათის ბრალდებების საფუძველზე და, ამდენად, სისხლისსამაჩთღებში დევნის პროცესში ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გახანტიას ქმნის. მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე პასუხისმგებლობის დაკისხების პრინციპი წახმოადგენს იმის გახანტიას, რომ სახელმწიფო მოხერხეთა თვითნებობისა თუ შეცდომების შედეგად ახ მოხდეს უდანაშაურო პიხის მსჯავრდება“.<sup>11</sup>

საქართველოს სსსკ-ის 82-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, „მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამაჩთღის საქმესთან მისი ხე-

ღევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით“. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად – „გამამტყუნებელი განაჩენით პიხის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა ახსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა“. საქართველოს სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-13 ნაწილით განსაზღვრული „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტი განიმარტება, როგორც სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში. „მოცემული მტკიცებულებითი სტანდარტი ნიშნავს იმას, რომ ობიექტუად დამკვირვებელ პიხს (ამ შემთხვევაში მოსამაჩთღეს ან ნაფიც მსაჯულს) სასამაჩთღოში გამოკვედილი მტკიცებულებების შედეგად ცადკუდი ფაქტების ახსებობაში, ბრალდებულისთვის წახდგენილი ბრალდების ქეშმაჩიგებაში და ამ უკანასკნელის ბრალეულობაში გონივრული ეჭვის საფუძველიც ახ უნდა გააჩნდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ (ე.წ. in dubio pro reo-ს პრინციპი)“.<sup>12</sup>

თუ მტკიცებულების სანდობაზე ჩნდება ეჭვი, ის უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. საქართველოს სასამართლო პრაქტიკის თანახმად: „მტკიცებულებათა უტყუარობა უნდა შეფასდეს ჩამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით:

1. თითოეული მტკიცებულება, მათ შორის მოწმის ჩვენება, შინააჩსობჩივად ხომ ახ შეიცავს უჩთიეჩთსაწინააღმდეგო და უჩთიეჩთგამომჩივხავ ინფოჩმაციას;

2. თითოეული მტკიცებულება ამყარებს სხვა მტკიცებულებებს, თუ მათ შორის აჩის სხვადასხვა წინააღმდეგობა, რომელთა ხაჩისხის შეფასება ყველა ინდივიდუადუხ შემთხვევაში სასამაჩთღოს კომპეტენციას;

3. ჩამდენად გუდწიფედი და მიუკეჩძოებელია მოწმე, ხომ ახ აქვს ფიზიკუჩი ნაკდი, რომელიც ნეგატიუხ გავდენას ახდენს მოვდენების ადევკავტუხ აღქმაზე;

4. როგორი პიხობებში მოხდა მტკიცებულებების ფოჩმიჩება, მაგ: გაჩემო პიხობები – ცუდი ხივადობა, ხადხმჩავადი ადგიდი, მანძიდი მოწმესა და შემთხვევის ადგიდს შოჩის და სხვა.

10 ECtHR, Case of Barberà, Messegué, Jabardo v. Spain, no. 10590/83, 06/12/1988, §68.

11 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, I კოლეგიის გადაწყვეტილება, N1/1/548 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2, 22/01/2015, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2714193?publication=0>> [ბოლო წვდომა: 23.11.2022].

12 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, მთავარი რედაქტორი: გიორგაძე გ., თბ., (2015), 33.

მტკიცებულებების ამ კრიტიკული შეფასებისა და მათზე განაჩენში სათანადო მსჯელობის გახეშე მტკიცებულებათა უტყუაობის სიღრმისეული შეფასება ფაქტობრივად შეუძლებელია.<sup>13</sup>

გამოძიების ფარგლებში მოპოვებული თითოეული მტკიცებულება ფასდება, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.

კანონმდებლობასა და პრაქტიკაში სახელდებით არ არის მითითებული, თუ რა მტკიცებულებები უნდა არსებობდეს პირის მსჯავრდებისთვის, მითითებულია მხოლოდ სტანდარტზე – ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობაზე. ამ დროს შეფასების საგანი არის არა მტკიცებულებათა რაობა, არამედ მათი ერთობლიობით შექმნილი სტანდარტი, რომელიც არწმუნებს ობიექტური პირს, პირის დამნაშავეობაში.

## დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის დამდგენი შესაძლო მტკიცებულებები

პირის მსჯავრდებისთვის აუცილებელია მტკიცებულებათა არსებობა, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შემთხვევაში კი, ასევე, უნდა არსებობდეს მიკერძოებული მოტივის დამადასტურებელი მტკიცებულებები. დანაშაულის ხასიათი, ბუნება, ჩატარებული გამოძიების ხარისხი და სხვა გარემოებები გავლენას ახდენს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.<sup>14</sup>

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ოდირი) განმარტავს, რომ მოტივის ერთ-ერთი მტკიცებულება შეიძლება იყოს ჩადენილი დანაშაულის ბუნება, მაგალითად, შეურაცხმყოფელი წარწერები ისლამთან დაკავშირებით, ანდა ღორის თავის ჩამოკიდება სასაფლაოზე, სიძულვილის ში-

ნაარსის შემცველი კომენტარების გაკეთება თავდასხმამდე, თავდასხმის დროს ან შემდეგ, შეიძლება იყოს რთულად იდენტიფიცირებადი მტკიცებულებები, მაგალითად, დამნაშავის მიერ სიძულვილის შემცველი ლიტერატურის ქონა და სხვა.<sup>15</sup>

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს იმ მტკიცებულებების ჩამონათვალს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მოტივის დასადგენად, მაგალითად, საფრანგეთის სსკ-ის თანახმად „თუ დანაშაულს წინ უსწიებს, თან ახლავს ან მოჰყვება წეხილობითი ან ვეხბადუხი სიგყვები, გამოსახულებები, საგნები ან ნებისმიერი ბუნების ქმედებები, რომელიც აზიანებს მსხვერპლის პატივს ან ჰეპუტაციას, ან პიხთა ჯგუფს, რომელსაც მსხვერპლი მიეკუთვნება“.<sup>16</sup> გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობის მიხედვით ასეთი მტკიცებულება შეიძლება იყოს: „დანაშაულის ჩადენის დროს ან ჩადენამდე ან მის შემდეგ დანაშაულის მიეხ მსხვერპლის მიმართ მგხობის გამოვლენა, რომელიც ეფუძნება მსხვერპლის წევრობას (ან სავაჩაუდო წევრობას) ხასობივი ან ხედივივი ჯგუფისადმი...“ – აღნიშნული შეიძლება გახდეს დასკვნის საფუძველი, რომ დანაშაული ჩადენილია რელიგიური ან რასობრივი მტრობის, სიძულვილის საფუძველზე.<sup>17</sup>

ცოტა უფრო რთულადაა საქმე, როდესაც სახეზეა შერეული მოტივით ჩადენილი დანაშაულები, როდესაც დამნაშავეს შეიძლება ამოძრავებდა რამდენიმე მოტივი. ამ დროს შეიძლება დამნაშავის ქმედებებზე უფრო დიდ გავლენა მოეხდინა სიტუაციური ფაქტორებს (მაგალითად სოციალური ფაქტორი), ვიდრე პირად ინდივიდუალურ შეხედულებებს.<sup>18</sup> მაგალითად, შეიძლება ტრანსგენდერი პირი გახდეს ძარცვის მსხვერპლი შერეული მოტივის

13 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, მთავარი რედაქტორი: გიორგი გ., თბ., (2015), 292.

14 OSCE/ODIHR (2010) Hate Crime Caws a Practical Guide, ODIHR Publishing, Warsaw, Poland, 2009, p. 51, <https://www.osce.org/files/f/documents/3/e/36426.pdf> > [Last Seen: 23.11.2022].

15 OSCE/ODIHR (2010) Hate Crime Caws a Practical Guide, ODIHR Publishing, Warsaw, Poland, 2009, p. 52, <https://www.osce.org/files/f/documents/3/e/36426.pdf> > [Last Seen: 23.11.2022].

16 OSCE/ODIHR (2010) Hate Crime Caws a Practical Guide, ODIHR Publishing, Warsaw, Poland, 2009, p. 52, <<https://www.osce.org/files/f/documents/3/e/36426.pdf> > [Last Seen: 23.11.2022].

17 OSCE/ODIHR (2010) Hate Crime Caws a Practical Guide, ODIHR Publishing, Warsaw, Poland, 2009, p. 52, <<https://www.osce.org/files/f/documents/3/e/36426.pdf> > [Last Seen: 23.11.2022].

18 See Lu-in Wang, “The Complexities of Hate”, Ohio State Law Journal, Vol. 60, 1999, at p. 807

საფუძველზე: პირველი რომ დამნაშავეს სურს ქონებრივი სარგებლის მიღება და მეორე, დამნაშავეს სძულს განსხვავებული გენდერული იდენტობის მქონე პირები და ამ ქმედებით, გარდა ქონებრივი სარგებლის მიღებისა, ახდენს მათზე შურისძიებას.

შერეული მოტივის არსებობას აღიარებს ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა, მაგალითად ბელგიის სსკ-ში პირდაპირ წერია, რომ პირის მიმართ დაცული მახასიათებლის გამო მტრობა, სიძულვილი და ზიზღი შეიძლება იყოს „დანაშაულის ერთ-ერთი მოტივი.“<sup>19</sup> მოთხოვნა იმისა, რომ მიკერძოება იყოს ერთადერთი მოტივი, მნიშვნელოვნად შეზღუდვდა ამ დანაშაულების იდენტიფიცირების შემთხვევებს.

რაც შეეხება დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის დამდგენ მტკიცებულებებს – აღნიშნულზე მსჯელობის დროს ამოსავალი წერტილი უნდა იყოს მიკერძოებულ დამოკიდებულებაზე მიმთითებელი გარემოებები, ინდიკატორები. ინდიკატორი არის ობიექტური კრიტერიუმი, რომლითაც შეიძლება სიძულვილის მოტივზე მსჯელობა, თუმცა მხოლოდ ინდიკატორები არ არის საკმარისი პირის მსჯავრდებისთვის, აუცილებელია შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენა სასამართლოზე.<sup>20</sup>

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ოდირი), რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვან განმარტებებს იძლევა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით, თავის დოკუმენტებში განმარტავს, რომ სისხლის სამართლის საქმეში შეიძლება არსებობდეს რამდენიმე ინდიკატორი:<sup>21</sup>

- **მსხვერპლის/მოწმის აღქმა** – მიიჩნევა თუ არა ის, რომ დანაშაული სიძულვილის მოტივით იქნა ჩადენილი;

19 OSCE/ODIHR (2010) Hate Crime Caws a Practical Guide, ODIHR Publishing, Warsaw, Poland, 2009, p. 55, <<https://www.osce.org/files/f/documents/3/e/36426.pdf>> [Last Seen: 23.11.2022].

20 OSCE/ODIHR (2015) Understanding Hate Crimes A Handbook for Ukraine, Warsaw, Poland, 2015, p. 9, <<https://www.osce.org/files/f/documents/4/9/208176.pdf>> [Last Seen: 23.11.2022].

21 OSCE/ODIHR (2015) Understanding Hate Crimes A Handbook for Ukraine, Warsaw, Poland, 2015, p. 9-10, <<https://www.osce.org/files/f/documents/4/9/208176.pdf>> [Last Seen: 23.11.2022].

- **კომენტარები, წერილობითი განცხადებები, ჟესტები ან გრაფიტი** – გააკეთა თუ არა შესაძლო დამნაშავემ დისკრიმინაციული კომენტარები, წერილობითი განცხადებები, ან გამოხატა თუ არა ჟესტიკულაციით მსგავსი დამოკიდებულება, ან ხომ არ დატოვა შემთხვევის ადგილზე წარწერები, ნახატები ან სიმბოლოები, რომელიც მიუთითებენ დანაშაულის ჩადენის მოტივზე;
- **რასობრივი, ეთნიკური, გენდერული და კულტურული განსხვავებები** – განსხვავებებიან თუ არა შესაძლო დამნაშავე და მსხვერპლი რასობრივი, რელიგიური ან ეთნიკური/ეროვნული წარმომავლობის ან სექსუალური ორიენტაციის მიხედვით? არსებობს თუ არა მტრობის ისტორია მსხვერპლის ჯგუფსა და შესაძლო დამნაშავეს შორის? არის თუ არა მსხვერპლი იმ ჯგუფის წევრი, რომელიც უმეტესად ქარბობს სხვა ჯგუფის წევრებთან შედარებით, იმ ტერიტორიაზე, სადაც ინციდენტი მოხდა? იყო თუ არა მსხვერპლი ინციდენტამდე დაკავებული მისი ჯგუფის ხელშემწყობი საქმიანობით?
- ქმედება ორგანიზებულია სიძულვილით მოტივირებული ჯგუფების მიერ – იყო თუ არა შემთხვევის ადგილზე დატოვებული საგნები ან ნივთები, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ დანაშაული იყო ორგანიზებული ნაციონალისტური ორგანიზაციის თუ სიძულვილით მოტივირებული ჯგუფის მიერ? არის თუ არა მტკიცებულება, რომ ასეთი ჯგუფი აქტიურია სამეზობლოში (მაგ. პლაკატები, გრაფიტი თუ ბროშურები)?
- **შემთხვევამდე მომხდარი მიკერძოებული დანაშაულები/ინციდენტები** – ყოფილა თუ არა მსგავსი ინციდენტები იმავე ტერიტორიაზე? ვინ იყვნენ მსხვერპლები? მიიღო თუ არა მსხვერპლმა შეურაცხმყოფელი შინაარსის ფოსტა, სატელეფონო ზარები ან იყო თუ არა სიტყვიერი შეურაცხყოფის მსხვერპლი მისი კუთვნილების ან მიზნობრივი ჯგუფის წევრობის საფუძველზე?
- **ქმედების ჩადენის მდებარეობა და დრო** – იყო თუ არა მსხვერპლი იმ ტე-

რიტორიაზე ან მის მახლობლად, რომელიც ჩვეულებრივ ასოცირდება კონკრეტულ ჯგუფთან (მაგ. თემის ცენტრი, მეჩეთი, ეკლესია ან სხვა სალოცავი სივრცე)? თუ ქონება იყო მიზნობრივი, იყო თუ არა ეს რელიგიური ან კულტურული მნიშვნელობის მქონე ობიექტი ან ადგილი, როგორცაა ისტორიული ძეგლი ან სასაფლაო? ინციდენტი ხომ არ მოხდა განსაკუთრებული მნიშვნელობის დღეს (მაგ. რელიგიურ დღესასწაულზე)?

უნდა აღინიშნოს, რომ ინდიკატორების მოცემული ჩამონათვალი არის პირობითი და არ არის ამომწურავი, რაც გულისხმობს იმას, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება გამოვლინდეს ისეთი გარემოება, ინდიკატორი, რომელიც არ ფიგურირებს ამ ჩამონათვალში, თუმცა მიუთითებს მიკერძოებულ დამოკიდებულებაზე და შეიძლება გახდეს სიძულვილის მოტივის დამადასტურებელი მტკიცებულების წყარო. ქართული საკანონმდებლო ბაზა არ იცნობს ამგვარი შინაარსის რეგულირებას. სამწუხაროდ, არც აკადემიური ნაშრომები არსებობს, რომლებიც სიღრმისეულად და ქართულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე დაყრდნობით განმარტავდნენ საკითხს.

## დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივის გავლენა სასჯელზე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განმარტებულია, რომ „სასამართლო საქმეს განიხილავს წარდგენილი ბრალდების ფარგლებში. საქართველოს სსსკ-ის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირის ბრალდება მხოლოდ პროკურორის უფლებამოსილებაა. ამავე კოდექსის 169-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბრალდების შესახებ დადგენილებაში უნდა აღინიშნოს: ბრალდების ფორმულირება – „ინკვიმინიხებული ქმედების აღწეხა, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხეხის, საშუალების, იახალის, აგხეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით. ამდენად, წახდგენილი ბრალდების ფაჩგებში მოიაზრება სწოხედ პხოკუხოხის მიეჩ ბრალდების შესახებ დადგენილებაში ჩამოყადიბებური

ბრალდების ფოჩმუდრიხება, ხომედშიც მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყადიბებური იმ მახთელსაწინააღმდეგო და ბრალდური ქმედების აღწეხა (ხოგოჩ გამოიხაგა), ხომედსაც ბრალდების მხაიე ედავება ბრალდებურს, მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხეხის, საშუალების, იახალის, აგხეთვე ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით“;<sup>22</sup> რაც ნიშნავს იმას, რომ სასამართლო პირის დამნაშავეობა-უდანაშაულობის საკითხზე მსჯელობის დროს ვერ გაცდება ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებულ ფორმულირებას, შესაბამისად, თუ ბრალმდებელს, პროკურორს გამორჩება ან ყურადღების მიღმა დარჩება ქმედების მაკვალფიცირებელი გარემოება, სასამართლო განხილვის ეტაპზე, მოსამართლე ასობით მტკიცებულების არსებობის პირობებშიც კი, ვერ შეძლებს პირისთვის ბრალის დამძიმებას.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (ოდირი) დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელის გამოყენებასთან დაკავშირებით, აღნიშნავს, რომ არსებობს სამი ძირითადი არგუმენტი ამ კატეგორიის დანაშაულისთვის უფრო მკაცრი სასჯელის გამოყენების: **პირველი** ეს არის სიმბოლური ღირებულება, დატვირთვა, რომ სახელმწიფო განსაკუთრებულად გმობს ამ კატეგორიის დანაშაულს; **მეორე** არის მიყენებული ზიანისთვის დასჯა – დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული უფრო დიდ ზიანს აყენებს მსხვერპლს, ვიდრე სხვა დანაშაული, ამასთან, ის გავლენას ახდენს დაცული ჯგუფის სხვა წევრებზე და შესაბამისად, სასჯელი განისაზღვრება, როგორც ინდივიდისთვის, ისე საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის შესაბამისად; **მესამე** არგუმენტი არის ის, რომ ამ დროს ისჯება უფრო დიდი დანაშაული, უფრო სერიოზული დანაშაული, რაც აუცილებელს ხდის პროპორციული სასჯელის გამოყენებას.<sup>23</sup>

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის

22 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №230აპ-13 განაჩენი, <<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>> [ბოლო წვდომა: 23.11.2022].

23 OSCE/ODIHR (2010) Hate Crime Caws a Practical Guide, ODIHR Publishing, Warsaw, Poland, 2009, p. 22-23, <<https://www.osce.org/files/f/documents/3/e/36426.pdf>> [Last Seen: 23.11.2022].



მოტივით ჩადენილი დანაშაულისთვის უფრო მკაცრი სასჯელის გამოყენებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია შეფასდეს უცხო ქვეყნის გამოცდილება, რომელზე დაყრდნობითაც ორგვარი მიდგომა შეიძლება ჩამოყალიბდეს: ერთი, როდესაც ზოგადად ხდება სასჯელის დამძიმება ნებისმიერი დანაშაულისთვის, რომელიც ჩადენილია მიკერძოების მოტივით და მეორე, სასჯელის დამძიმება კონკრეტული დანაშაულების მიკერძოების მოტივით ჩადენის შემთხვევაში. მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს სსკ-ის თანახმად, თუ დანაშაული რასობრივად გამწვავებულია, სასამართლომ ეს უნდა გაითვალისწინოს როგორც დამამძიმებელი ფაქტორი.<sup>24</sup> დაახლოებით იმავეს ამბობს უკრაინის სსკ-ის 67-ე მუხლი.<sup>25</sup> თუმცა, მაგალითად, ბელგიის კანონმდებლობის თანახმად, დანაშაულის ჩადენა სიძულვილის მოტივით არის დამამძიმებელი გარემოება, რომელმაც შეიძლება გააორმაგოს სასჯელი ისეთი დანაშაულებისთვის, როგორებიცაა: გაუპატიურება, თავდასხმა, განზრახ მკვლელობა და ამავე მუხლში მითითებული სხვა დანაშაულები.<sup>26</sup>

ამ კუთხით საქართველოს კანონმდებლობა შერეულ მოდელს შეიძლება მივაკუთვნოთ, ვინაიდან, სსკ იცნობს როგორც ზოგად დანაშაულს – სსკ-ის 53<sup>1</sup>-ე მუხლის სახით (რომელიც ამძიმებს პასუხისმგებლობას ნებისმიერი დანაშაულისთვის, რომლის მოტივსაც დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობა წარმოადგენს) და ასევე, იცნობს სპეციალურ, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებს, რომელთათვის უფრო მკაცრი სასჯელის გამოყენება იმავე მუხლში მითითებულ სანქციაში არის ასახული, მაგალითად საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის „თ“ ქვეპუნქტი – განზრახ მკვლელობა, ჩადენილი გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით.

სასჯელის სახის და ზომის განსაზღვრის დროს სასამართლო ხელმძღვანელობს საქართველოს სსკ-ის 53-ე (სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები) და 53<sup>1</sup>-ე (სასჯელის დამამძიმებელი გარემოებები) მუხლებით. სსკ-ის 53-ე მუხლი არის ზოგადი შინაარსის მუხლი, რომელიც ამბობს, რომ სასჯელის განსაზღვრის დროს სხვა გარემოებებთან ერთად ყურადღება ენიჭება „დანაშაულის მოტივს“, მაშინ როდესაც 53<sup>1</sup>-ე მუხლი არის სპეციალური მუხლი და საუბრობს სასჯელის კონკრეტულ დამამძიმებელ გარემოებაზე. ზოგადი და სპეციალური მუხლების კონკურენციის დროს კი უპირატესობა ენიჭება სპეციალურ მუხლს. შესაბამისად, სასამართლომ დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულზე მიღებულ განაჩენში, სასჯელზე მსჯელობის ეტაპზე, სწორედ ამ მუხლის რეგულაციით უნდა იხელმძღვანელოს და სასჯელის დამძიმების დასაბუთებაშიც ის უნდა ასახოს. სსკ-ის 53-ე მუხლზე მითითებაც არ იქნება შეცდომა, თუმცა, როგორც სასჯელის ზოგადი საწყისების შემცველ მუხლზე და ძირითადი დასაბუთება მაინც უნდა მოახდინოს სსკ-ის 53<sup>1</sup>-ე მუხლიდან, როგორც სპეციალური და კონკრეტული მუხლიდან.

## სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

საკითხის უკეთ შესაფასებლად მნიშვნელოვანია არსებული პრაქტიკის შესწავლა და ანალიზი. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 5 თებერვლის განაჩენში, რომელიც შეეხებოდა ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებულ მუქარას (სსკ-ის 11<sup>1</sup>, 151-ე მუხლის მეორე ნაწილის დ<sup>1</sup> ქვეპუნქტი) და ოჯახის წევრის მიმართ შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობას (სსკ-ის 11<sup>1</sup>, 381<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილი), სასამართლომ გენდერული დისკრიმინაციის მოტივის დამადასტურებელ მტკიცებულებად მიიჩნია დაზარალებულის ჩვენება, სადაც ის აღწერდა, თუ როგორ აკონტროლებდა ყოფილი მეუღლე მას, მოითხოვდა ყველა დეტალის მასთან შეთანხმებას, ამცირებდა და აყენებდა შეურაცხყოფას. აღსანიშნავია, რომ სის-

